ეთიკის კომისიის

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

**მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

თეა ჭეიშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ნელი ვარდიაშვილი – კოლეგიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი** – ადვოკატი ქ. უ. /სიითი №/

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 24.03.2017

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 025/17

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ ლ. ჯ.-ს მიმართ /სიითი №/

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ ლ. ჯ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

## I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 24 მარტს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა ქ. უ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. ჯ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან როგორც ეთიკის კომისიის წევრმა 2016 წლის სექტემბერის თვეში განიხილა მოქალაქის საჩივარი ადვოკატ ლ. ჯ.-ს წინააღმდეგ. ადვოკატს ეთიკის კომისიის 2016 წლის 16 სექტემბერს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება, რაც გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისთვის 2017 წლის მარტის თვის ბოლოს გახდა ცნობილი, რომ შეურაცხმყოფელი შინაარსის შემცველი განცხადება იყო გავრცელებული ინტერნეტ

სივრცეში, კერძოდ Google-ში ქ. უ.-ს სახელის ჩაწერისას პირველივე ჩანაწერად იძებნება ,, ქ. უ. შემარცხვენელია ადვოკატთა..“, აღნიშნულ ბმულზე გადასვლისას მისთვის ცნობილი გახდა, რომ საჯარო ინფორმაცია განთავსებულია ადვოკატ ლ. ჯ.-ს მიერ მისი საადვოკატო ბიუროს ვებ-გვერდზე- http://a..ge/ge.-ზე, სათაურით ,,ქ. უ. შემარცხვენელია ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოლეგიის“, შემდეგი შინაარსით: ,,ადვოკატი ქ. უ. შემარცხვენელია ადვოკატთა ასოციაციის, ეს არის პიროვნება, რომელიც იღებს დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას! არ არის კვალიფიციური არ არის კოლეგიალური და მისი არჩევა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრად არის უხეში შეცდომა.“

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ლ. ჯ.-ს განცხადება მისთვის შეურაცხმყოფელია, როგორც ადვოკატისა და ეთიკის კომისიის წევრისათვის და მიაჩნია, რომ ადვოკატის ქცევა ეთიკის კომისიის განხილვის საგანი უნდა გახდეს და მას უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა ლ. ჯ.-მ 2017 წლის 18 აპრილს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ადვოკატ ქ. უ.-ს განცხადება, თითქოს მას მის წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი სახის განცხადება ჰქონდა ან აქვს განთავსებული ინტერნეტ საიტზე არის ცილისწამება და მისთვის შეურაცხმყოფელია, რადგან მას მსგავსი შინაარსის განცხადება არსად არასოდეს განუთავსებია.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ქ. უ.-ს მიერ საჩივარზე დართული მტკიცებულება არის ფალსიფიკაცია, მონტაჟი და მიზნად ისახავს მის დისკრედიტაციას, იმ მიზნით, რომ შეუწყდეს საადვოკატო უფლებამოსილება.

2.3 ადვოკატის განცხადებით, ქ. უ.-ს საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**II სამოტივაციო ნაწილი**

**3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

3.1 ადვოკატი ლ. ჯ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან“.

3.2 ადვოკატმა ქ. უ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2017 წლის 24 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წელს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

**4. შემაჯამებელი დასკვნა:**

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. ჯ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

**5. სამართლებრივი შეფასება:**

5.1 2017 წლის 13 ივნისს ადვოკატმა ქ. უ.-მ განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითა, რომ მასსა და ადვოკატ ლ. ჯ.-ს შორის არსებული გაუგებრობა აღმოიფხვრა, ისინი მორიგდნენ და აღარ სურს მის მიერ ეთიკის კომისიაში შემოტანილი საჩივრის განხილვა.

5.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად: ,,საპროცესო კოლეგია შეწყვეტს საქმის წარმოებას დებულებით გათვალისწინებული საფუძვლებით, ასევე იმ შემთხვევაშიც, საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)". შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ ლ. ჯ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

## III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19–მე-20 მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N025/17 ადვოკატ ლ. ჯ.-ს მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნელი ვარდიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/